



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 11

2021 წლის 19 თებერვალი


ქ. თბილისი

2021 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების,  
კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების  
შესახებ

„მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N 201/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N136297, 19.02.2021) შესაბამისად,


**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს 2021 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი (შემდგომში კონკურსი);
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს პროექტის შესახებ კრებულთი ინფორმაციის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს პროექტის რეზიუმეს ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. სამეცნიერო პროექტის გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს ჯგუფური პროექტებისთვის პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს ინსტიტუციური პროექტებისთვის პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;

შემსრულებელი:  
ადმინისტრაციული და იურიდიული  
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი 

შეთანხმებულია:

ადმინისტრაციული და იურიდიული  
დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ბუთლიაშვილი

-----  


მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსი მაია ქაჯაია

-----  


საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი  
მალხაზ ხოფერია

-----

11. თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. დამტკიცდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
13. დამტკიცდეს ინსტიტუციური პროექტებისთვის განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად;
14. დამტკიცდეს ჯგუფური პროექტებისთვის განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N13-ის შესაბამისად;
15. დამტკიცდეს საბუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N14-ის შესაბამისად;
16. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვრონ ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის სპეციალისტი - ქეთევან გორგაძე.
17. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
18. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
19. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

